პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: მხატვრული ქსოვა

(პროგრამა ხორციელდება მილევად რეჟიმში)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: მხატვრული ქსოვილები/Artistic Fabrics
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 02126-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მხატვრულ ქსოვაში / Basic Vocational Qualification in Artistic Knitting, აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), კოდი 0214, აღმწერი - *„შეისწავლის საიუველირო ხელოვნების, კერამიკის, ქსოვის, ხის დამუშავების და ა.შ ტექნიკასა და უნარებს“*.

მიზანი - პროგრამის მიზანია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება მხატვრული ქსოვის მიმართულებით.

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - მხატვრული ქსოვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნართის მღებავად, ხალიჩის მქსოველად, ფარდაგის მქსოველად, გობელენის მქსოველად, ტრიკოტაჟული ნაწარმის მქსოველად. პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც მსხვილ, საშუალო, ისე მცირე საწარმოში, სამხატვრო სალონებში დარგის სპეციალისტად. ასევე შეუძლია დააფუძნოს სახელოსნო-სტუდია და იმუშაოს კერძო შეკვეთებზე.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 13.1; 13.2; 13.20; 13.20.0; 13.3; 13.30; 13.30.0; 13.9; 13.91; 13.91.0; 13.93; 13.93.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7318.

სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა მოიცავს 7 ზოგად მოდულს 19 ჯამური კრედიტის ოდენობით, 5 საერთო პროფესიულ მოდულს 20 კრედიტის ოდენობით და 6 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 37 კრედიტის ოდენობით. მხატვრულ ქსოვაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **76** კრედიტი.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 76 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 62 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 91 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 72 კვირა.
-

ზოგადი მოდულები

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	მეწარმეობა 1	2
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	სამოქალაქო განათლება	3
6.	უცხოური ენა	4
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
	ჯამი:	**19**
საერთო პროფესიული მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	გაცნობითი პრაქტიკა - მხატვრული ქსოვილები	2
2.	აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები	4
3.	საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისები	2
4.	საფეიქრო მასალის ღებვა	4
5.	ქსოვილის მხატვრული მოხატვა (ბატიკა, შიბორი, დაჩითვა)	8
	ჯამი:	**20**
მხატვრული ქსოვის პროფესიული მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	ფარდაგის ქსოვა 2	6
2.	ხალიჩის ქსოვა 2	7
3.	გობელენის ქსოვა 2	7
4.	ყაისნაღითა და ჩხირებით ქსოვა 2	7
5.	მხატვრული ტრიკოტაჟის ქსოვა 2	5
6.	პრაქტიკული პროექტი - მხატვრული ნაქსოვის შესრულება	5
	ჯამი:	**37**
	სულ:	**76**

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ესკიზი;
2. მოქსოვოს ფარდაგი;
3. მოქსოვოს ხალიჩა;
4. მოქსოვოს გობელენი;
5. მოქსოვოს ყაისნაღით;
6. მოქსოვოს ჩხირებით;
7. მოქსოვოს მხატვრული ტრიკოტაჟის ნაწარმი.